ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8095011

ნომერი: AR11161451

თარიღი : 17.09.2026

გაცემის თარიღი : 23.09.2026

გაცნობის თარიღი : 23.09.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 17 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 14 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 17/4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 18 ივნისის №8024047 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 17 სექტემბერს №AR11161451 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა ცვლილების შეტანა ამავე სამსახურის 2026 წლის 18 ივნისის №7968074 ბრძანებაში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 18 ივნისის №7968074 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დ. აბაშიძის ქ. N17; აბაშიძის ქ. N14 მიმდებარედ; დ. აბაშიძის ქ. N17/4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.16.05.001.025) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი;. გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2026 წლის 18 ივნისის №7968074 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საპროექტო შენობა-ნაგებობის თითოეული ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირებას და გეგმების ჩანაცვლებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და საპროექტო შენობა-ნაგებობის თითოეული ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირება შესაძლებელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 18 ივნისის №7968074 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:

„ ა ‘’ ბლოკი
საერთო ფართობი (კვ.მ).: 7504.3 .
საოფისე ფართობი (კვ.მ).: 3554.1 .
საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 197.1 .
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 618.9 .
დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 1090.9 .
ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 2043.3
სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 40366.6
.0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 32125
.0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 8241.6
.შენობანაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 31,05
.0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 21.8
.0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 9.25
კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
კ1 (სსზ2)=744
კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2(სსზ2) = 4184,9
კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-3 (სსზ-2)- 1540/6825=0,2 კ-3 (რზ-2)- 2454/3089=0,8 .

„ბ’’ ბლოკი

საერთო ფართობი (კვ.მ).: 12100,5 .
კომერციული ფართობი (კვ.მ).: 244.3 .
საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 807 .
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1942,7 .
დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 3348,8 .
ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1507,4 .

სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 4250,3
სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 82347.72
.0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 64252.72
.0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 18095
.შენობანაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 43.1
.0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 33.85
.0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 9.25
კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
კ1 (სსზ2)= 1502
კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
კ2(სსზ2) = 9029,8
კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-3 (სსზ-2)- 1540/6825=0,2 კ-3 (რზ-2)- 2454/3089=0,8 .

2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 18 ივნისის №7968074 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (20-38 გვ.) ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 2026 წლის 17 სექტემბერს №AR11161451 განაცხადზე ფაილის მიმაგრების გვერდით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 18 ივნისის №7968074 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 18 ივნისის №7968074 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.